1	საბაზისო მაჩვენებელი	დღეის მდგომარეობით სახანძრო-სამაშველო დეპოების 72%-ზე მეტი საჭიროებს რეაბილიტაციას.			
	მიზნობრივი მაჩვენებელი	სახანძრო-სამაშველო ობიექტების დამატებით 1% რეაბილიტირებულია	სახანძრო-სამაშველო ობიექტების დამატებით 1% რეაბილიტირებულია	სახანძრო-სამაშველო ობიექტების დამატებით 1% რეაბილიტირებულია	სახანძრო-სამაშველო ობიექტების დამატებით 1% რეაბილიტირებულია
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	10%	10%	10%	10%
	შესაძლო რისკები	გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაფინანსება			

განხორციელების ვადები: 2021 - 2024 წლები

6.6 ღონისძიების დასახელება: სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების განვითარება

ღონისძიების განმახორციელებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო

ღონისძიების აღწერა და მიზანი:

სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ ყოველდღიურად ხორციელდება იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სხვადასხვა სახის სერვისების შეთავაზება და მიწოდება. მიუხედავად იმისა, რომ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სააგენტოს გააჩნია ექსკლუზიური უფლებამოსილება ცეცხლსაშიში სამუშაოების, მასობრივი, სანახაობრივი ან/და სპორტული ღონისძიებების ჩატარების დროს (გარდა უშუალოდ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული საზოგადოებრივი, პოლიტიკური, საქველმოქმედო ღონისძიებებისა, როდესაც მომსახურება უსასყიდლოდ გაიწევა) სახანძრო/სამაშველო, საავარიო-სამაშველო ტექნიკით ან/და ეკიპაჟით მომსახურების გაწევის სფეროში, სხვა მის მიერ გაწეული სერვისების შესრულება შეუძლია სხვა ორგანიზაციებსაც, შესაბამისად სააგენტომ მუდმივად უნდა იზრუნოს როგორც სერვისის გაუმჯობესებაზე, აგრეთვე მიწოდების ხარისხის სრულყოფასა და დახვეწაზე.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- გაუმჯობესებული, მოქნილი და მეტად ხელმისაწვდომი მომსახურება;
- სერვისების განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხედვისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- მომსახურების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის შექმნა;
- შსს-სთან და საგანგებო სიტუაციების სამსახურთან თანამშრომლობით ე. წ. „Front Office“-ის აწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები

№		2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
1	საბაზისო მაჩვენებელი	ყოველდღიურ რეჟიმში სააგენტო შესაბამის მომსახურებას უწევს სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომელნიც უზრუნველყოფილნი არიან მაღალი ხარისხის მომსახურებით.			
	მიზნობრივი მაჩვენებელი	არსებული მაჩვენებლების შენარჩუნება			
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	10%	10%	10%	10%

	შესაძლო რისკები				
2.	საბაზისო მაჩვენებელი	ამჟამად არ არსებობს სერვისების განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხედვა.			
	მიზნობრივი მაჩვენებელი	შემუშავებული სერვისების განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხედვები და სამოქმედო გეგმები	შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში გამოვლენილი ხარვეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა	შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში გამოვლენილი ხარვეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების განხორციელება	შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში გამოვლენილი ხარვეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების განხორციელება
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	10%	10%	10%	10%
	შესაძლო რისკები				
3.	საბაზისო მაჩვენებელი	ამჟამად მომსახურების გაწევა ხორციელდება სააგენტოს ოფისიდან.			
	მიზნობრივი მაჩვენებელი		შსს-სთან და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან მოლაპარაკებების წარმოება	ე. წ. „Front Office“-ის აწყობის გეგმვის შემუშავება	ე. წ. „Front Office“-ის აწყობა
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)		50%	50%	50%
	შესაძლო რისკები	სხვა უწყებების ხედვასთან შეუსაბამობა;			

განხორციელების ვადები: 2021-2024 წლები

6.7 ღონისძიების დასახელება: სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა

ღონისძიების განმახორციელებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო

ღონისძიების აღწერა და მიზანი: სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნასთან, მართვასთან, შენახვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საოპერაციო პროცედურების განხორციელება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- შემუშავებული სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ახალი ნომენკლატურა და განსაზღვრული რაოდენობები;
- სახელმწიფო რეზერვებში დაგროვებული ნომენკლატურით განსაზღვრული ფასეულობები;
- ჩატარებული გეგმიური და საკონტროლო შემოწმებები სახელმწიფო რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში;

მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები

№		2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
1.	საბაზისო მაჩვენებელი	ამჟამად არ არსებობს სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ნომენკლატურა			
	მიზნობრივი მაჩვენებელი	სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ახალი ნომენკლატურის შემუშავება			
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)				
	შესაძლო რისკები				
2.	საბაზისო მაჩვენებელი	სააგენტოს მიერ მუდმივად ტარდება სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში ჩაწყობილი სახელმწიფო რეზერვში რიცხული მატერიალური ფასეულობების შემოწმებები.			
	მიზნობრივი მაჩვენებელი	გეგმიური და საკონტროლო შემოწმებების ჩატარება	გეგმიური და საკონტროლო შემოწმებების ჩატარება	გეგმიური და საკონტროლო შემოწმებების ჩატარება	გეგმიური და საკონტროლო შემოწმებების ჩატარება

	სახელმწიფო რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში	სახელმწიფო რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში	სახელმწიფო რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში	სახელმწიფო რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში
ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	10%	10%	10%	10%
შესაძლო რისკები	სხვადასხვა ორგანიზაციებისა და უწყებების ფუნქციონირების შეწყვეტა.			

განხორციელების ვადები: 2021-2024 წლები

7. პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა (30 07)

განმახორციელებელი: სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

პროგრამის აღწერა და მიზანი:

სააგენტოს მიერ შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესების გზით სააგენტოს მიმართ ნდობის ხარისხის ამაღლება. სააგენტოს მიერ სწრაფი, მოქნილი და მეტად ხელმისაწვდომი (მომსახურების დისტანციური არხების განვითარება) მომსახურების უზრუნველყოფა, რაც მორგებული იქნება მოქალაქეების საჭიროებებზე.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- გაუმჯობესებული, მოქნილი და მეტად ხელმისაწვდომი მომსახურება;
- განახლებული საგამოცდო ავტოპარკი;
- დამატებული ახალი საგამოცდო მოედნები;
- რეაბილიტირებული სააგენტოს ინფრასტრუქტურა;
- განახლებული და ოპტიმიზირებული სააგენტოს IT ინფრასტრუქტურა.
- სააგენტოს კიბერ უსაფრთხოების შესაბამისი დონის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

№	2021-2024 წლები	
1	საბაზისო მაჩვენებელი	ყოველდღიურ რეჟიმში სააგენტო შესაბამის მომსახურებას უწევს ასეულობით მოქალაქეს, რომელთაგანაც 100% უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის მომსახურებით; სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების მხოლოდ 2,5%-მდე არის მიღებული ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით.
	მიზნობრივი მაჩვენებელი	არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება; ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით მიღებული მომსახურების მაჩვენებლის 20%-მდე გაზრდა.
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	10%
	შესაძლო რისკები	სააგენტოს განვითარების ხედვაში პრიორიტეტების გადახალისება და განვითარების გეგმაში განხორციელებული ცვლილებები.
2	საბაზისო მაჩვენებელი	დღეის მდგომარეობით საგამოცდო ავტოპარკი განახლებულია, მაგრამ ვინაიდან აღნიშნულ ავტომანქანებს მართავენ მართვის უფლების არმქონე მოქალაქეები და ავტოსატრანსპორტო საშუალებები განიცდიან არანორმირებულ ცვეთას, მიზანშეწონილია ავტოპარკის 100%-ით განახლება ყოველ 4 წელიწადში ერთხელ.
	მიზნობრივი მაჩვენებელი	მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდისთვის საგამოცდო ავტოპარკი განახლებულია 100%-ით.
	ცდომილების ალბათობა (% აღწერა)	
	შესაძლო რისკები	
3	საბაზისო მაჩვენებელი	დღეის მდგომარეობით მართვის მოწმობის ყველა სხვა, გარდა “A”, “A1”, B - კატეგორიის პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება ხდება მხოლოდ ქ. ქუთაისში და ქ. რუსთავში.
	მიზნობრივი მაჩვენებელი	ქ. ფოთში მოწყობილი/დამატებული ახალი საგამოცდო მოედანი და შექმნილი 8 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება შესაბამისი აღჭურვილობით.
	ცდომილების ალბათობა (% აღწერა)	10%
	შესაძლო რისკები	მოქალაქეების მხრიდან მოთხოვნის არ არსებობა.
4	საბაზისო მაჩვენებელი	სააგენტოს ინფრასტრუქტურა სრულად (100%-ით) არის რეაბილიტირებული.
	მიზნობრივი მაჩვენებელი	არსებული რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება.
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	
	შესაძლო რისკები	
5	საბაზისო მაჩვენებელი	დღეის მდგომარეობით ამბროლაურში არ ხორციელდება მოსახლეობისთვის სააგენტოს სერვისის (მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის (B კატეგორია)) სრულყოფილად მიწოდება სტანდარტულად მოწყობილი მოედნის არარსებობის გამო.
	მიზნობრივი მაჩვენებელი	ქ. ამბროლაურში მოწყობილი საგამოცდო მოედანი.
	ცდომილების ალბათობა (% აღწერა)	10%
	შესაძლო რისკები	სხვა შენობებზე კლიმატური პირობების გამო ზიანის მიყენებით გამოწვეული პრობლემების გამოსწორების მიზნით მიმართული თანხა.
6	საბაზისო მაჩვენებელი	დღეის მდგომარეობით სააგენტოს არსებული სერვერული ინფრასტრუქტურის რესურსები საკმარისია, მაგრამ ვინაიდან სააგენტოში მიმდინარეობს ციფრული ტრანსფორმაციის პროექტი რაც

		გამოიწვევს სერვერული რესურსების შემცირებას და ასევე ვინაიდან სერვერულ ინფრასტრუქტურას გასდის ექსპლუატაციის ვადა, მიზანშეწონილია მომდევნო წლებში განახლდეს სერვერული ინფრასტრუქტურა.
	მიზნობრივი მაჩვენებელი	სერვერული ინფრასტრუქტურის განახლება 100 %
	ცდომილების ალბათობა (% ალწერა)	10 %
	შესაძლო რისკები	საქართველოს საჯარო სექტორში ერთიანი მონაცემების დამუშავების და შენახვის ცენტრის შექმნა
7	საბაზისო მაჩვენებელი	დღეის მდგომარეობით სააგენტოში დანერგილია კიბერ უსაფრთხოების სხვადასხვა სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ: ინტერნეტიდან სააგენტოს კომპიუტერულ სისტემებზე შეტევისგან ან შემოღწევისაგან დაცვა/პრევენციას და დროულ რეაგირებისათვის I.T.-ის თანამშრომლების შეტყობინებას; სააგენტოს კომპიუტერულ სისტემებში მიმდინარე ქმედებების და მოვლენების ერთიან ინფორმაციულ საცავს, შემდგომში კიბერ უსაფრთხოების კუთხით ანალიზისთვის; მავნე პროგრამების გარედან შემოღწევის და სააგენტოს შიდა კომპიუტერულ სისტემაში გავრცელებისგან დაცვა/პრევენციას; ინფორმაციის გადინების კონტროლს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად; სააგენტოს თანამშრომლებისათვის ვებ გვერდებზე წვდომის შეზღუდვების განხორციელებას სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების და ორგანიზაციული პოლიტიკის შესაბამისად.
	მიზნობრივი მაჩვენებელი	პროგრამული ლიცენზიების, მწარმოებლის და ლოკალური მხარდაჭერის განახლება 100 %
	ცდომილების ალბათობა (% ალწერა)	10%
	შესაძლო რისკები	მოწყობილობების ფიზიკური დაზიანება, არასაკმარისი წარმადობის ან ფუნქციონალის გამო ჩანაცვლების საჭიროება.

განხორციელების ვადები: 2021-2024 წლები

7.1 ღონისძიების დასახელება: სააგენტოს მიერ შეთავაზებული მომსახურების გაუმჯობესება და ელექტრონული დისტანციური არხების გამოყენებით მიღებული მომსახურების გაზრდა.

ღონისძიების განმახორციელებელი: სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

ღონისძიების აღწერა და მიზანი:

სამინისტროს სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველდღიურად ხორციელდება მოქალაქეებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სხვადასხვა სახის სერვისების შეთავაზება და მიწოდება, რაც წარმოადგენს სააგენტოს ძირითად საქმიანობას და მუდმივად მოითხოვს სერვისის გაუმჯობესებას, მიწოდების ხარისხის სრულყოფასა და დახვეწას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: გაუმჯობესებული, მოქნილი და მეტად ხელმისაწვდომი მომსახურება

მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები

№		2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
1	საბაზისო მაჩვენებელი	ყოველდღიურ რეჟიმში სააგენტო შესაბამის მომსახურებას უწევს ასეულობით მოქალაქეს, რომელთაგანაც 100% უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის მომსახურებით სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების მხოლოდ 2.5%-მდე არის მიღებული ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით.			
	მიზნობრივი მაჩვენებელი	არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება. ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით მიღებული მომსახურების 5%-მდე გაზრდა	არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება. ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით მიღებული მომსახურების 10%-მდე გაზრდა	არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება. ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით მიღებული მომსახურების 15%-მდე გაზრდა	არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება. ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით მიღებული მომსახურების 20%-მდე გაზრდა
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	10%	10%	10%	10%
	შესაძლო რისკები	ინტერნეტქსელის მწყობრიდან გამოსვლა.	ინტერნეტქსელის მწყობრიდან გამოსვლა.	ინტერნეტქსელის მწყობრიდან გამოსვლა.	ინტერნეტქსელის მწყობრიდან გამოსვლა.

განხორციელების ვადები: 2021-2024 წლები

7.2 ღონისძიების დასახელება: საგამოცდო ავტოპარკის განახლება.

ღონისძიების განმახორციელებელი: სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

ღონისძიების აღწერა და მიზანი:

სააგენტოს მიზანია მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის ჩატარების პროცესის შეუფერხებლად და გამართულად განხორციელება რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მუდმივად გამართულ მდგომარეობაში ყოფნა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

გაზრდილი და განახლებული ავტოპარკი;

მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები

№		2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
1	საბაზისო მაჩვენებელი	დღეის მდგომარეობით მართვის მოწმობის მოედნის პირობებში პრაქტიკული გამოცდის ავტოპარკი მთლიანად განახლებულია. ვინაიდან აღნიშნული ავტომანქანები არის საგამოცდო და ემსახურება მართვის არ მქონე მოქალაქეებს მიზანშეწონილია ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მოხდეს საგამოცდო ავტოპარკის სრულად განახლება, შესაბამისად 2022 წლისთვის შესაცვლელი იქნება 52 ავტომანქანა შესაბამისი აღჭურვილობით, 2023 წელს 66 ავტომანქანა შესაბამისი აღჭურვილობით, ხოლო 2024 წელს 15 ავტომანქანა შესაბამისი აღჭურვილობით.			
	მიზნობრივი მაჩვენებელი		შემენილი 52 მსუბუქი ავტომანქანა	შემენილი 66 მსუბუქი ავტომანქანა	შემენილი 15 მსუბუქი ავტომანქანა
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)			5%	
	შესაძლო რისკები			სააგენტოს პოლიტიკის შეცვლა (მოედნის პირობებში გამოცდის გაუქმება).	

განხორციელების ვადები: 2021 -2024 წლები

7.3 ღონისძიების დასახელება: საგამოცდო მოედნის და შესაბამისი საგამოცდო ავტოსატრანსპორტო საშუალებების დამატება.

ღონისძიების განმახორციელებელი: სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

ღონისძიების აღწერა და მიზანი:

სერვისის გაუმჯობესების და უფრო მეტად ხელმისაწვდომობისათვის საჭიროა A, A1, B - კატეგორიის გარდა მართვის მოწმობის ყველა სხვა კატეგორიის პრაქტიკული გამოცდის მოედნის და შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებების დამატება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- გაფართოებული და გაუმჯობესებული სააგენტოს საგამოცდო მოედანი;
- შემენილი შესაბამისი საგამოცდო ავტოსატრანსპორტო საშუალებები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები

№		2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
1	საბაზისო მაჩვენებელი	დღეის მდგომარეობით მართვის მოწმობის ყველა სხვა (გარდა “A”, “A1”, “B”) კატეგორიის პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება ხდება მხოლოდ ქ. ქუთაისში და ქ. რუსთავში.			
	მიზნობრივი მაჩვენებელი	ქ. ფოთში მოწყობილი/დამატებული ახალი საგამოცდო მოედანი და შექმნილი 8 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება შესაბამისი აღჭურვილობით.			
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	10%			
	შესაძლო რისკები	მოქალაქეების მხრიდან მოთხოვნის არ ქონა.			

განხორციელების ვადები: 2021 წელი

7.4 ღონისძიების დასახელება: სააგენტოს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

ღონისძიების განმახორციელებელი: სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

ღონისძიების აღწერა და მიზანი:

სააგენტოს მომსახურების პროცესის შეუფერხებლად და თანამედროვე სტანდარტებით მიწოდებისათვის, ესაჭიროება არსებული ინფრასტრუქტურის მუდმივი რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

სააგენტოს რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები

№		2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
1	საბაზისო მაჩვენებელი	სააგენტოს ინფრასტრუქტურა სრულად (100%-ით) რეაბილიტირებულია			
	მიზნობრივი მაჩვენებელი	არსებული რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის		არსებული რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის	

		შენარჩუნება. გარემონტებულია 18 შენობა.		შენარჩუნება. გარემონტებულია 18 შენობა.	
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)				
	შესაძლო რისკები				

განხორციელების ვადები: 2021 და 2023 წლები

7.5 ღონისძიების დასახელება: სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის სამსახურის დამატება.

ღონისძიების განმახორციელებელი: სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

ღონისძიების აღწერა და მიზანი:

სერვისის უფრო მეტად ხელმისაწვდომობის მიზნით საჭიროა ქ. ამბროლაურში მოედნის მოწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მოწყობილი ახალი საგამოცდო მოედანი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები

№		2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
1	საბაზისო მაჩვენებელი	დღეის მდგომარეობით ამბროლაურში არ ხორციელდება მოსახლეობისთვის სააგენტოს სერვისის (მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის (B კატეგორია)) სრულყოფილად მიწოდება სტანდარტულად მოწყობილი მოედნის არარსებობის გამო.			
	მიზნობრივი მაჩვენებელი	ქ. ამბროლაურში მოწყობილი საგამოცდო მოედანი.			
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	10%			
	შესაძლო რისკები	სხვა შენობებზე კლიმატური პირობების გამო ზიანის მიყენებით გამოწვეული			

		პრობლემების გამოსწორების მიზნით მიმართული თანხა.			
--	--	---	--	--	--

განხორციელების ვადები: 2021 წელი

7.6 ღონისძიების დასახელება: სააგენტოს სერვერული ინფრასტრუქტურის განახლება/გაძლიერება

ღონისძიების განმახორციელებელი: სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

ღონისძიების აღწერა და მიზანი:

გამართული სერვერული ინფრასტრუქტურის და საკმარისი სერვერული რესურსების არსებობისთვის საჭიროა ახალი სერვერების შექმნა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

სააგენტოს განახლებული და ოპტიმიზირებული IT ინფრასტრუქტურა

მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები

№		2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
1	საბაზისო მაჩვენებელი	დღეის მდგომარეობით სააგენტოს არსებული სერვერული ინფრასტრუქტურის რესურსები საკმარისია, მაგრამ ვინაიდან სააგენტოში მიმდინარეობს ციფრული ტრანსფორმაციის პროექტი რაც გამოიწვევს სერვერული რესურსების ზრდას და ასევე ვინაიდან სერვერულ ინფრასტრუქტურას ეწურება ექსპლუატაციის ვადა, მიზანშეწონილია მომდევნო წლებში განახლდეს სერვერული ინფრასტრუქტურა.			
	მიზნობრივი მაჩვენებელი	სერვერული ინფრასტრუქტურის განახლება 100 %			
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	10%			
	შესაძლო რისკები	საქართველოს საჯარო სექტორში ერთიანი მონაცემების დამუშავების და შენახვის ცენტრის შექმნა			

განხორციელების ვადები: 2021 წელი

7.7 ღონისძიების დასახელება: სააგენტოს კიბერ უსაფრთხოების სისტემების პროგრამული ლიცენზიების განახლება და მწარმოებლის მხარდაჭერის მომსახურების შექმნა.

ღონისძიების განმახორციელებელი: სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

ღონისძიების აღწერა და მიზანი:

კიბერ უსაფრთხოების სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული საოპერაციო რისკების შემცირება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

სააგენტოს კიბერ უსაფრთხოების შესაბამისი დონის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები

№		2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
1	საბაზისო მაჩვენებელი	დღეის მდგომარეობით სააგენტოში დანერგილია კიბერ უსაფრთხოების სხვადასხვა სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ: ინტერნეტიდან სააგენტოს კომპიუტერულ სისტემებზე შეტევისგან ან შემოღწევისაგან დაცვა/პრევენციას და დროული რეაგირებისათვის I.T-ის თანამშრომლების შეტყობინებას; სააგენტოს კომპიუტერულ სისტემებში მიმდინარე ქმედებების და მოვლენების ერთიან ინფორმაციულ საცავს, შემდგომში კიბერ უსაფრთხოების კუთხით ანალიზისთვის; მავნე პროგრამების გარედან შემოღწევის და სააგენტოს შიდა კომპიუტერულ სისტემაში გავრცელებისგან დაცვა/პრევენციას; ინფორმაციის გადინების კონტროლს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად; სააგენტოს თანამშრომლებისათვის ვებ გვერდებზე წვდომის შეზღუდვების განხორციელებას სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების და ორგანიზაციული პოლიტიკის შესაბამისად.			
	მიზნობრივი მაჩვენებელი	პროგრამული ლიცენზიების, მწარმოებლის და ლოკალური მხარდაჭერის განახლება 100 %	პროგრამული ლიცენზიების, მწარმოებლის და ლოკალური მხარდაჭერის განახლება 100 %	პროგრამული ლიცენზიების, მწარმოებლის და ლოკალური მხარდაჭერის განახლება 100 %	პროგრამული ლიცენზიების, მწარმოებლის და ლოკალური მხარდაჭერის განახლება 100 %
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	10%	10%	10%	10%
	შესაძლო რისკები	მოწყობილობების ფიზიკური დაზიანება, არასაკმარისი წარმადობის ან ფუნქციონალის გამო ჩანაცვლების საჭიროება.	მოწყობილობების ფიზიკური დაზიანება, არასაკმარისი წარმადობის ან ფუნქციონალის გამო ჩანაცვლების საჭიროება.	მოწყობილობების ფიზიკური დაზიანება, არასაკმარისი წარმადობის ან ფუნქციონალის გამო ჩანაცვლების საჭიროება.	მოწყობილობების ფიზიკური დაზიანება, არასაკმარისი წარმადობის ან ფუნქციონალის გამო ჩანაცვლების საჭიროება.

			საჭიროება.	საჭიროება.
--	--	--	------------	------------

განხორციელების ვადები: 2021-2024 წლები

8. პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტიანი სისტემის ფუნქციონირება (30 08);

განმახორციელებელი: შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“

პროგრამის აღწერა და მიზანი:

ქვეყანაში გადაუდებელი დახმარების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მაღალი დონის და მარტივად ხელმისაწვდომი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფა, საგანგებო სიტუაციის დადგომის შემთხვევაში გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი სუბიექტების დროულად და სწორად ჩართვა პროცესში, გადაუდებელი დახმარების შეტყობინების მიღების და დამუშავების სისტემის გაუმჯობესება, საზოგადოებრივი და საგზაო უსაფრთხოების დონის ამაღლება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- გაუმჯობესებული არსებული და დანერგილი ახალი სერვისები;
- სრულად დანერგილი პრიორიტეტების განმსაზღვრელი პროგრამა ProQA;
- სრულად დანერგილი ადრეული გაფრთხილების სისტემა;
- საზოგადოებრივი და საგზაო უსაფრთხოების დონის ამაღლება;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

№		2021 - 2024 წლები
1	საბაზისო მაჩვენებელი	სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ ორიენტირებულია მუდმივი პროგრესისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, რაც დამოკიდებულია ახალი სტანდარტებისა და ტექნოლოგიების დანერგვაზე. დღეისათვის შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში ლოკაციის დადგენა შესაძლებელია სამი საკომუნიკაციო არხის მეშვეობით: ფიქსირებული, მობილური ტელეფონით და მობილური აპლიკაციის საშუალებით, საიდანაც ყოველდღიურად საშუალოდ 12 500 ზარი შემოდის, შემოსული შეტყობინებებიდან საშუალოდ იქმნება 4 210 საქმე სხვადასხვა სამსახურების

	<p>რეაგირების შედეგად (სასწრაფო, სახანძრო, პატრული, კრიმინალური, ევაკუატორი, ცხოველთა მონიტორინგი) საქართველოს მასშტაბით.</p> <p>შექმნილია 112 მობილური აპლიკაცია, სადაც დღეის მდგომარეობით 32 331 მომხმარებელია რეგისტრირებული. ყოველდღიურად მობილური აპლიკაციიდან საშუალოდ 3 შეტყობინება შემოდის “SOS” ლილაკის, „SMS“ და “Chat” ფუნქციის საშუალებით. აპლიკაცია ადაპტირდა მხედველობის არმქონე პირებისათვის. აპლიკაციაში დაემატა სასარგებლო ინფორმაციის ორი ჩანართი „ოჯახში ძალადობა“ და „თამბაქოს კონტროლი“. აპლიკაცია მუდმივად საჭიროებს იდენტიფიცირებული ხარვეზების საფუძველზე პროგრამულ გაუმჯობესებას.</p> <p>სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს, სთავაზობს SMS და ვიდეო ზარის სერვისს. თვის განმავლობაში ვიდეო ზარის შეტყობინებებიდან სხვადასხვა სამსახურების მიერ რეაგირება ხდება საშუალოდ 6 საქმეზე სმენადაქვეითებული პირების დასახმარებლად. საჭიროა აღნიშნული სერვისის გამართული ფუნქციონირების შენარჩუნება.</p> <p>სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში ფუნქციონირებს ევაკუატორით მომსახურების სერვისის ცენტრი, რომელიც შემდეგ სერვისებს ახორციელებს: სისხლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შემთხვევებში ავტო-სატრანსპორტო საშუალებების ევაკუაცია და დაცულ საჯარიმო ავტოსადგომზე გადაყვანა, კერძო და იურიდიული პირების ევაკუატორით მომსახურება (ტრანსპორტირება და სადგომზე გადაყვანა). საშუალოდ ყოველდღიურად 98 შემთხვევა ფიქსირდება ადმინისტრაციული, 34 სისხლის სამართალდარღვევით. ყოველდღიურად ევაკუატორზე მოთხოვნის საშუალოდ 39 შემთხვევა ფიქსირდება. ევაკუატორის სერვისის მომსახურების ხარისხი საჭიროებს შენარჩუნებას.</p> <p>სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-სა და დაცვის პოლიციასთან შეთანხმებით აეწყო განგაშის სიგნალის მიღების სერვისი და საპილოტე რეჟიმში მიმდინარეობს eCall-ის პროექტი. eCall არის მოწყობილობა, რომელიც მონტაჟდება ავტოსატრანსპორტო საშუალებაში და ავტოსაგზაო შემთხვევისას ავტომატურად აგზავნის განგაშის სიგნალს „112“-ში, რაც ამავდროულად წარმოადგენს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-თან დაკავშირების ალტერნატიულ არხს.</p> <p>სამსახურებრივი ბიზნეს პროცესების გასაანალიზებლად შეიქმნა ანალიტიკური პორტალი, რომელსაც ემატება სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“ -ში არსებული სამსახურების მოდულები. საპილოტე რეჟიმში არის გაშვებული მულტი-ფუნქციური რუკა. მიმდინარეობს თითოეულ სამსახურთან KPI ინდიკატორების შეთანხმება. შემუშავებულია ადმინისტრაციულ თანამშრომელთა შეფასების სისტემა და ინტეგრირებულია პორტალზე; განსახორციელებელია თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა წელიწადში ორჯერ.</p> <p>მიმდინარეობს მუშაობა ტრანსნაციონალური ნომრების ბაზის შექმნაზე, რაც გულისხმობს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე მარტივად დაუკავშირდება რეზიდენტი ქვეყნის „112“-ს.</p>
მიზნობრივი	არსებული სერვისების (გადაუდებელ შემთხვევათა სტატისტიკის აღმრიცხველი

	მაჩვენებელი	ერთიანი პროგრამა, მობილური აპლიკაცია, ევაკუატორის სერვისით მომსახურება) შენარჩუნება და გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრთან კომუნიკაციის არხების გაუმჯობესება. eCall-ის დანერგვის მიზნით გადაუდებელ შემთხვევაზე რეაგირების დროის, სიკვდილიანობისა და მძიმე დაზიანებების რაოდენობის შემცირება. აღნიშნული მოწყობილობის ავტომობილებში დამონტაჟების სავალდებულობაზე რეგულაციის მიღება. ტრანსნაციონალური ნომრების ბაზის საშუალებით საქართველოს 112-ის შესვლა ტრანსნაციონალური ნომრების ბაზაში, რაც უზრუნველყოფს სხვა ქვეყნების 112-ის ცენტრების პირდაპირ წვდომას საქართველოს 112-ში დარეკვის საშუალებით და პირიქით.
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	1%
	შესაძლო რისკები	მობილური აპლიკაციის გამოყენებით ცრუ ზარების განხორციელება;
2.	საბაზისო მაჩვენებელი	სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს ეფექტური ფუნქციონირებისათვის ინციდენტის პრიორიტეტიზაციის პრობლემა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადენს, რაც საშუალებას არ იძლევა, ობიექტურად მოხდეს გადაუდებელი შემთხვევების პრიორიტეტიზაცია. ყოველდღიურად საშუალოდ 2 069 მაღალი პრიორიტეტის, 1 012 საშუალო პრიორიტეტის და 1 105 დაბალი პრიორიტეტის საქმეები იქმნება, თუმცა მაღალია პრიორიტეტის განსაზღვრისას ცდომილების ალბათობა, რასაც შედეგად მოსდევს სასწრაფო ბრიგადების არარაციონალური დატვირთვა. მაღალპრიორიტეტულ შემთხვევებში გაზრდილია რეაგირების დრო.
	მიზნობრივი მაჩვენებელი	ინციდენტის ტიპებისა და პრიორიტეტების განმსაზღვრელი პროგრამის ProQA-ს დანერგვა, რაც შესაძლებელს გახდის აღნიშნული პრობლემების მოგვარებას. ამისთვის, სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“ გეგმავს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვას და დანერგვას. აღნიშნული პროგრამა (ProQA Paramount) შეესაბამება მსოფლიოში არსებულ გადაუდებელი დახმარების სტანდარტებს. პროექტის მიზანია დაიხვეწოს ზარის მართვის და პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესი. აღნიშნული პროგრამის და პროტოკოლების დანერგვა, შეამცირებს პრიორიტეტების განსაზღვრის ცდომილებას, შესაძლებლობას იძლევა გავცეთ სატელეფონო ინსტრუქციები შესაბამისი ბრიგადების ადგილზე მისვლამდე.
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	1%
	შესაძლო რისკები	მოსახლეობის მხრიდან დაბალი ინტერესი
3	საბაზისო მაჩვენებელი	ინციდენტებისას მსხვერპლის რაოდენობის შემცირებისა და გადაუდებელი შემთხვევების დროს მოსახლეობის დროული ევაკუაციისათვის აუცილებელია არსებობდეს ადრეული გაფრთხილების სისტემა
	მიზნობრივი მაჩვენებელი	SMS შეტყობინებების სისტემის დანერგვა, რომელიც სახიფათო ტერიტორიაზე მყოფ აბონენტებს შეატყობინებს მომხდარი ან პოტენციური საფრთხის შესახებ.
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	1%
	შესაძლო რისკები	კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით პროცესის გაჭიანურება; სისტემის მუშაობასთან დაკავშირებული შესაძლო მოსალოდნელი ხარვეზები.

5	საბაზისო მაჩვენებელი	<p>პრევენციული და საგამოძიებო ღონისძიებების მეტი ეფექტიანობისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით ვიდეოსამეთვალყურეო სისტემაში ჩართულია 4 500 ვიდეოკამერა (1 602 ნომრის ამომცნობი და 2 898 ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა), რომელიც მოიცავს საქართველოს მაგისტრალებს, მუნიციპალიტეტების შესასვლელ-გასასვლელებს, სტრატეგიულ ობიექტებს, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებსა და მასობრივი თავშეყრის ადგილებს. კამერები უზრუნველყოფილია სხვადასხვა ტიპის სახის ამომცნობი და ავტომობილის სახელმწიფო ნომრის ამომცნობი ანალიტიკური პროგრამებით. ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერები დაკავშირებულია ვიდეომონიტორინგის სისტემის ერთიან ქსელთან და რეალურ დროში ხორციელდება, საქართველოს მასშტაბით გარე პერიმეტრზე არსებული ვითარების 24-საათიანი მონიტორინგი.</p> <p>საშუალო სიჩქარის კონტროლისა და საგზაო მოძრაობის ადმინისტრირების მიზნით საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე ამოქმედებულია სიჩქარის კონტროლის სექციები, რისი მეშვეობითაც დაფარულია 861 კმ სიგრძის საავტომობილო გზის მონაკვეთი.</p> <p>გაფორმებული კონტრაქტის შესაბამისად, საქართველოს მასშტაბით 2 220 წერტილზე მოწყობილია ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელი.</p> <p>სამინისტროს სისტემაში არსებული ბაზების ინტეგრირებით და ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ერთობლივი დამუშავებით, ხორციელდება საპოლიციო საქმიანობის ანალიტიკური მხარდაჭერა. მონიტორინგისა და ოპერაციული ანალიზის შედეგად კრიზისულ სიტუაციებში, ასევე მასშტაბური ღონისძიებების დროს, ერთობლივი ოპერაციების ცენტრის მიერ ხორციელდება ინფორმაციული უზრუნველყოფა.</p>
	მიზნობრივი მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში ქვეყნის მასშტაბით ვიდეოსამეთვალყურეო სისტემაში დამატებით ჩართულია 400 ვიდეოკამერა; დანაშაულის პრევენციისა და საპოლიციო მხარდაჭერის მიზნით შესყიდული და ამოქმედებულია საექვო ქცევის ანალიტიკური პროგრამული უზრუნველყოფა. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით საქართველოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე დამონტაჟებულია სახის ამომცნობი ვიდეოანალიტიკური პროგრამა. ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები უზრუნველყოფილია პროგრამული მხარდაჭერის მომსახურებით. შესყიდულია ოპერირებისთვის საჭირო სერვერული ინფრასტრუქტურა.
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	10%
	შესაძლო რისკები	შესაბამისი ანალიტიკური პროგრამული უზრუნველყოფის ვერ მოძიება/დანერგვა

განხორციელების ვადები: 2021-2024

8.1. ღონისძიების დასახელება: არსებული სერვისების გაუმჯობესება და ახალი სერვისების დანერგვა

ღონისძიების განმახორციელებელი: შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“

ღონისძიების აღწერა და მიზანი:

სამინისტროს სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-სთვის მნიშვნელოვანია მუდმივი პროგრესი და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, რაც დამოკიდებულია ახალი სტანდარტებისა და ტექნოლოგიების დანერგვაზე. სწორედ ეს არის ის მიმართულებები, რომლებზეც ორგანიზაციის ყველა სამსახური უწყვეტ რეჟიმში მუშაობს. სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში ყოველდღიურად, საქართველოს მასშტაბით შემოდის ათასობით ზარი გადაუდებელი დახმარების შესახებ. შეტყობინებათა მიღება, დამუშავება და შემდგომი რეაგირების მიზნით შესაბამისი უწყებებისათვის გადაცემა წარმოადგენს გადაუდებელი დახმარების ცენტრის ძირითად ფუნქციას.

ღონისძიების მიზანია აღნიშნული სამუშაო პროგრამის ფუნქციონალური გამართულობა და მუდმივი კონტროლი, რათა მომსახურების პროცესი იყოს უწყვეტი, ხარისხიანი და შესაბამისობაში მოდიოდეს საერთაშორისო სტანდარტებთან.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის მიერ ეფექტური და მაღალი ხარისხით მიწოდებული მომსახურება;

მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები

№		2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
1	საბაზისო მაჩვენებელი	<p>სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ ორიენტირებულია მუდმივი პროგრესისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, რაც დამოკიდებულია ახალი სტანდარტებისა და ტექნოლოგიების დანერგვაზე. დღეისათვის შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში ლოკაციის დადგენა შესაძლებელია სამი საკომუნიკაციო არხის მეშვეობით: ფიქსირებული, მობილური ტელეფონით და მობილური აპლიკაციის საშუალებით, საიდანაც ყოველდღიურად საშუალოდ 12 500 ზარი შემოდის, შემოსული შეტყობინებებიდან საშუალოდ იქმნება 4 210 საქმე სხვადასხვა სამსახურების რეაგირების შედეგად (სასწრაფო, სახანძრო, პატრული, კრიმინალური, ევაკუატორი, ცხოველთა მონიტორინგი) საქართველოს მასშტაბით.</p> <p>შექმნილია 112 მობილური აპლიკაცია, სადაც დღეის მდგომარეობით 32 331 მომხმარებელია რეგისტრირებული. ყოველდღიურად მობილური აპლიკაციიდან საშუალოდ 3 შეტყობინება შემოდის “SOS” ლილაკის, „SMS“ და “Chat” ფუნქციის საშუალებით. აპლიკაცია ადაპტირდა მხედველობის არმქონე პირებისათვის. აპლიკაციაში დაემატა სასარგებლო ინფორმაციის ორი ჩანართი „ოჯახში ძალადობა“ და „თამბაქოს კონტროლი“. აპლიკაცია მუდმივად საჭიროებს იდენტიფიცირებული ხარვეზების საფუძველზე პროგრამულ გაუმჯობესებას.</p> <p>სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს, სთავაზობს SMS და ვიდეო ზარის სერვისს. თვის განმავლობაში ვიდეო ზარის შეტყობინებებიდან სხვადასხვა სამსახურების მიერ</p>			

		<p>რეაგირება ხდება საშუალოდ 6 საქმეზე სმენადაქვეითებული პირების დასახმარებლად. საჭიროა აღნიშნული სერვისის გამართული ფუნქციონირების შენარჩუნება.</p> <p>სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში ფუნქციონირებს ევაკუატორით მომსახურების სერვისის ცენტრი, რომელიც შემდეგ სერვისებს ახორციელებს: სისხლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შემთხვევებში ავტო-სატრანსპორტო საშუალებების ევაკუაცია და დაცულ საჯარო ავტოსადგომზე გადაყვანა, კერძო და იურიდიული პირების ევაკუატორით მომსახურება (ტრანსპორტირება და სადგომზე გადაყვანა). საშუალოდ ყოველდღიურად 98 შემთხვევა ფიქსირდება ადმინისტრაციული, 34 სისხლის სამართალდარღვევით. ყოველდღიურად ევაკუატორზე მოთხოვნის საშუალოდ 39 შემთხვევა ფიქსირდება. ევაკუატორის სერვისის მომსახურების ხარისხი საჭიროებს შენარჩუნებას.</p> <p>სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-სა და დაცვის პოლიციასთან შეთანხმებით აეწყო განგაშის სიგნალის მიღების სერვისი და საპილოტე რეჟიმში მიმდინარეობს eCall-ის პროექტი. eCall არის მოწყობილობა, რომელიც მონტაჟდება ავტოსატრანსპორტო საშუალებაში და ავტოსაგზაო შემთხვევისას ავტომატურად აგზავნის განგაშის სიგნალს „112“-ში, რაც ამავდროულად წარმოადგენს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-თან დაკავშირების ალტერნატიულ არხს.</p> <p>სამსახურეობრივი ბიზნეს პროცესების გასაანალიზებლად შეიქმნა ანალიტიკური პორტალი, რომელსაც ემატება სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში არსებული სამსახურების მოდულები. საპილოტე რეჟიმში არის გაშვებული მულტიფუნქციური რუკა. მიმდინარეობს თითოეულ სამსახურთან KPI ინდიკატორების შეთანხმება. შემუშავებულია ადმინისტრაციულ თანამშრომელთა შეფასების სისტემა და ინტეგრირებულია პორტალზე; განსახორციელებელია თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა წელიწადში ორჯერ.</p> <p>მიმდინარეობს მუშაობა ტრანსნაციონალური ნომრების ბაზის შექმნაზე, რაც გულისხმობს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე მარტივად დაუკავშირდება რეზიდენტი ქვეყნის „112“-ს.</p>			
მიზნობრივი მაჩვენებელი	<p>შენარჩუნებული ან/და გაუმჯობესებული არსებული მაჩვენებელი; სამუშაო რეჟიმში გაშვებული ახალი პროგრამა ERC 2.0.</p> <p>სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“- ში შემოსულ შეტყობინებებში მობილური აპლიკაციით</p>	<p>შენარჩუნებული ან/და გაუმჯობესებული არსებული მაჩვენებელი; სამუშაო რეჟიმში გაშვებული ახალი პროგრამის ERC 2.0 ხარვეზები იდენტიფიცირებულია.</p> <p>სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“- ში</p>	<p>შენარჩუნებული ან/და გაუმჯობესებული არსებული მაჩვენებელი; სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“- ში შემოსულ შეტყობინებებში მობილური აპლიკაციით შემოსული შეტყობინებების წილის ზრდა; ფუნქციონალური გაუმჯობესება;</p>		<p>შენარჩუნებული ან/და გაუმჯობესებული არსებული მაჩვენებელი;</p> <p>სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“- ში შემოსულ შეტყობინებებში მობილური აპლიკაციით შემოსული შეტყობინებების წილის ზრდა;</p>

	შემოსული შეტყობინებების წილის ზრდა; ფუნქციონალური გაუმჯობესება; სასარგებლო ინფორმაციის ჩანართების დამატება. Ecall სერვისში ჩართული მომხმარებლები.	შემოსულ შეტყობინებებში მობილური აპლიკაციით შემოსული შეტყობინებების წილის ზრდა; ფუნქციონალური გაუმჯობესება; სასარგებლო ინფორმაციის ჩანართების დამატება. Ecall სერვისში ჩართული მომხმარებლების გაზრდილი რაოდენობა.	სასარგებლო ინფორმაციის ჩანართების დამატება. Ecall სერვისში ჩართული მომხმარებლების გაზრდილი რაოდენობა.	ფუნქციონალური გაუმჯობესება; სასარგებლო ინფორმაციის ჩანართების დამატება. Ecall სერვისში ჩართული მომხმარებლების გაზრდილი რაოდენობა.
ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	1%	1%	1%	1%
შესაძლო რისკები	მობილური აპლიკაციის გამოყენებით ცრუ ზარების განხორციელება	ახალი პროგრამის ERC 2.0 ხარვეზები		

განხორციელების ვადები: მიმდინარე

8.2 ღონისძიების დასახელება: ინციდენტის ტიპებისა და პრიორიტეტების განმსაზღვრელი პროგრამის (ProQA) დანერგვა

ღონისძიების განმახორციელებელი: შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“

ღონისძიების აღწერა და მიზანი:

აღნიშნული ღონისძიების მთავარი მიზანია სსიპ - შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის მომსახურების დონის გაუმჯობესება და მაღალ პრიორიტეტულ შემთხვევებში რეაგირების დროის შემცირება ინციდენტის ტიპებისა და პრიორიტეტების განმსაზღვრელი პროგრამის (ProQA) დანერგვის გზით. აღნიშნული პროგრამა დეტალურ შეკითხვებს აგენერირებს. ინიციატორისგან მიღებულ პასუხებზე

დაყრდნობით კი, წინასწარ განსაზღვრული პროტოკოლების საშუალებით, მაღალი სიზუსტით ადგენს საქმის პრიორიტეტს.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

პროექტის მიზანია დაიხვეწოს ზარის მართვის და პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესი. აღნიშნული პროგრამის და პროტოკოლების დანერგვით, შემცირდება პრიორიტეტების განსაზღვრის ცდომილების დონე, შესაძლებლობა მოგვეცემა გავცეთ სატელეფონო ინსტრუქციები შესაბამისი ბრიგადების ადგილზე მისვლამდე.

მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები

№		2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
	საბაზისო მაჩვენებელი	სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს ეფექტური ფუნქციონირებისათვის ინციდენტის პრიორიტეტიზაციის პრობლემა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, რაც საშუალებას არ იძლევა, ობიექტურად მოხდეს გადაუდებელი შემთხვევების პრიორიტეტიზაცია. ყოველდღიურად საშუალოდ 2 069 მაღალი პრიორიტეტის, 1 012 საშუალო პრიორიტეტის და 1 105 დაბალი პრიორიტეტის საქმეები იქმნება, თუმცა მაღალია პრიორიტეტის განსაზღვრისას ცდომილების ალბათობა, რასაც შედეგად მოსდევს სასწრაფოს ბრიგადების არარაციონალური დატვირთვა. მაღალპრიორიტეტულ შემთხვევებში გაზრდილია რეაგირების დრო.			
	მიზნობრივი მაჩვენებელი	ზარის მართვის და პრიორიტეტების ზუსტად განსაზღვრა; მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; რეაგირების დროის შემცირება მაღალ პრიორიტეტულ საქმეებზე; მაღალკვალიფიციური თანამშრომლები.	ზარის მართვის და პრიორიტეტების ზუსტად განსაზღვრა; მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; რეაგირების დროის შემცირება მაღალ პრიორიტეტულ საქმეებზე;	ზარის მართვის და პრიორიტეტების ზუსტად განსაზღვრა; მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; რეაგირების დროის შემცირება მაღალ პრიორიტეტულ საქმეებზე; მაღალკვალიფიციური თანამშრომლები.	ზარის მართვის და პრიორიტეტების ზუსტად განსაზღვრა; მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; რეაგირების დროის შემცირება მაღალ პრიორიტეტულ საქმეებზე; მაღალკვალიფიციური თანამშრომლები.

			მაღალკვალიფიციური თანამშრომლები.		
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)				
	შესაძლო რისკები				

განხორციელების ვადები: მიმდინარე

8.3 ღონისძიების დასახელება: ადრეული გაფრთხილების სისტემის დანერგვა

ღონისძიების განმახორციელებელი: შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“

ღონისძიების აღწერა და მიზანი:

ღონისძიების მიზანია ადრეული გაფრთხილების SMS შეტყობინებების სისტემის დანერგვა, რომელიც სახიფათო ტერიტორიაზე მყოფ აბონენტებს შეატყობინებს მომხდარი ან პოტენციური საფრთხის შესახებ. ეს ხელს შეუწყობს მსხვერპლის რაოდენობის შემცირებას და გაამარტივებს გადაუდებელი შემთხვევების დროს მოსახლეობის ევაკუაციის კოორდინაციას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- დანერგილი SMS შეტყობინებების სისტემა, რომელიც სახიფათო ტერიტორიაზე მყოფ აბონენტებს ატყობინებს მომხდარი, ან პოტენციური საფრთხის შესახებ.

მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები

		2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
--	--	-----------	-----------	-----------	-----------

	საბაზისო მაჩვენებელი	ინცინდენტებისას მსხვერპლის რაოდენობის შემცირებისა და გადაუდებელი შემთხვევების დროს მოსახლეობის დროული ევაკუაციისათვის აუცილებელია არსებობდეს ადრეული გაფრთხილების სისტემა			
	მიზნობრივი მაჩვენებელი	SMS შეტყობინებების დანერგილი სისტემა	ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაგეგმვა და გახორციელება. სერვისის აწყობა.	სისტემის საპილოტე რეჟიმში გაშვება.	სისტემის მუშაობის მონიტორინგი.
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)				1%
	შესაძლო რისკები				სისტემის მუშაობასთან დაკავშირებული შესაძლო მოსალოდნელი ხარვეზები

განხორციელების ვადები: მიმდინარე

8.4 ღონისძიების დასახელება: საზოგადოებრივი და საგზაო უსაფრთხოების ღონისძიების ამაღლება

ღონისძიების განმახორციელებელი: შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“

